



9458/3-17/21
14-09-2021

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ნიკოლოზ მარსაგიშვილს

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობის და მათი შრომითი ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სამტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი შრომითი ანაზღაურების შესახებ;
3. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რომან გოცირიძე



საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 849/2585-03-მ

„17“ 11 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ რომან გოცირიძეს


ბატონო რომან,

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2021 წლის 14 სექტემბერს შემოსული თქვენი №9458/3-17/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დღეისათვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 39 და მათი შრომის ანაზღაურება - 97 435 ლარს, ხოლო სამტატო ერთეულით გათვალისწინებულ დასაქმებულთა რაოდენობა არის 54 და მათი შრომის ანაზღაურება შეადგენს 140 300 ლარს.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა არის - 93 და მათი წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს 2 852 820 ლარს.

პატივისცემით,

თამარ სულაქველიძე
ადამიანური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსი





9509/3-17/21
14-09-2021

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს
გიორგი პერტაიას

ბატონო გიორგი,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობის და მათი შრომითი ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი შრომითი ანაზღაურების შესახებ;
3. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რომან გოცირიძე

N 609/1
11/10/2021

609-1-2-202110111332



საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

თქვენს 2021 წლის 14 სექტემბრის 9509/3-17/21 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ:

1. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში ამ ეტაპზე შრომითი ხელშეკრულებით (შტატგარეშე) დასაქმებულია 3 (სამი) თანამშრომელი, მათი შრომითი ანაზღაურება ჯამში შეადგენს 4.695 (ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.
2. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში საშტატო ერთეულებზე ამ ეტაპზე დასაქმებულია 27 (ოცდაშვიდი) თანამშრომელი, მათი შრომითი ანაზღაურება ჯამში შეადგენს 52.400 (ორმოცდათორმეტი ათას ოთხასი) ლარს.

პატივისცემით,

გოგიტა თედორაძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი





9457/3-17/21 2 14092021

9457/3-17/21

14-09-2021

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ბოლო მონაცემები ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (შტატგარეშე) პირთა რაოდენობის და მათი შრომითი ანაზღაურების შესახებ;
2. ბოლო მონაცემები ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში საშტატო ერთეულებზე დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი შრომითი ანაზღაურების შესახებ;
3. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის და მათი სახელფასო ფონდის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რომან გოცირიძე





ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი
OFFICE OF THE NATIONAL SECURITY COUNCIL



№ 1364



29/09/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

თქვენი მიმდინარე წლის 14 სექტემბრის №9457/3-17/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში დასაქმებულია 6 (ექვსი) შტატგარეშე მოსამსახურე და მათი ყოველთვიური შრომის ანაზღაურების თანხა ჯამურად შეადგენს 15 905 (თხუთმეტი ათას ცხრაას ხუთი) ლარს.

2021 წლის სექტემბრის მონაცემებით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში, საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასაქმებულია 28 მოსამსახურე - მიმდინარე შრომის ანაზღაურების ბიუჯეტი ჯამურად არის 1 445 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდახუთი ათასი) ლარი.

„ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივლისის №377 დადგენილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 46 საშტატო ერთეულს, ხოლო საჭირო შრომის ანაზღაურების ბიუჯეტი ჯამურად 2 100 000 (ორი მილიონ ასი ათასი) ლარს.

პატივისცემით,

სერგო თურმანიძე

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ლ. აყ